



პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების –
SCHALI® Care – MI
სერიის მამაკაცის რექტალური სუპოზიტორების
გამოყენების ინსტრუქცია
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები

100

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

100

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

100

100

**პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების -
SCHALI® Care - MI
სერიის მამაკაცის რექტალური სუპოზიტორების
გამოყენების ინსტრუქცია
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები**

მამაკაცის რექტალურ სუპოზიტორებს **SCHALI® Care-MI** - აქვს ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო და ანტიტოქსიკური მოქმედება და განკუთვნილია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის.

გამოშვების ფორმა:

ცხიმოვანი პროფილაქტიკური სანთლები, 2 გ

შემადგენლობა:

კაკაოს კარაქი, გოგრის ზეთი, პროპოლისი, გვირილას ყვავილების ექსტრაქტი, ჟენშენის ფესვის ექსტრაქტი, ძირტკბილას ფესვის ექსტრაქტი, გრიფონიას თესლის ექსტრაქტი, E ვიტამინი, ტიტანის დიოქსიდი.

მოქმედების მექანიზმი:

სუპოზიტორები ნატურალური მცენარეული ზეთების, მინერალებისა და ფიტოექსტრაქტების ბაზაზე, სწორ ნაწლავში თანდათანობით გახსნისას, შეიწოვება სწორი ნაწლავის ქვედა ნაწილების ლორწოვანის მიერ და ახდენს ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელ მოქმედებას, ასევე ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. სუპოზიტორების მცენარეული და მინერალური კომპონენტები და მათი შემადგენელი ელემენტები (ეთერზეთები, ფიტონციდები) აზიანებს მიკროორგანიზმებს.

მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატის კომპონენტებთან ხანგრძლივი კონტაქტის შემთხვევაშიც კი, მიკროორგანიზმებს არ გამოუმუშავდებათ მათ მიმართ რეზისტენტობა.

სუპოზიტორების რეგულარული გამოყენება ააქტიურებს არასპეციფიკური დაცვის ბუნებრივ მექანიზმებს, ზრდის ინტერფერონების, იმუნოგლობულინ A-ს გამომუშავებას და ამრიგად, ახდენს ანტივირუსულ და ანტიმიკრობულ მოქმედებას.


ანთების საწინააღმდეგო აქტივობა ვლინდება შემდგომი დაზიანებისგან უჯრედების დაცვაში, პროცესის ექსუდატიური ფაზის შესუსტებაში, ლეიკოციტურ და მაკროფაგულ ინფილტრაციაში, უჯრედების პროლიფერაციის გაძლიერებაში. ის ნაწილობრივ განპირობებულია ანტიოქსიდანტური ეფექტით, ე.ი. მცენარეული კომპონენტების შემადგენლობაში შემავალი ეთერზეთების უნარით, დაამუხრუჭოს თავისუფალი რადიკალების რეაქციები ჟანგბითი ნივთიერებების პირდაპირი ბმის საშუალებით.

გვირილის მოქმედების მექანიზმი ძირითადად მდგომარეობს ბაქტერიების ციტოპლაზმური მემბრანის დესტრუქციაში გაცვლითი, აერობული სუნთქვის, სინთეზის პროცესების შემდგომი დარღვევით. მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატის კომპონენტებთან ხანგრძლივი კონტაქტის შემთხვევაშიც კი, მიკროორგანიზმებს არ გამოუმუშავდებათ მათ მიმართ რეზისტენტობა.

ტიტანის დიოქსიდის ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედება ეფუძნება პეპტიდების, გლიკოზიდებისა და მსგავსთა არაგაჯერებული ქიმიური ბმების დეაქტივაციის უნარს, გარედან შემოსული ეგზოგენური და შიგნიდან შემოსული ენდოგენური მავნე ტოქსიკური შენაერთების მოცილების უზრუნველყოფით. ეს, თავის მხრივ, ანთებითი ხასიათის სხვადასხვა პათოლოგიების სიმპტომების აღმოფხვრის გამოხატულ ეფექტს ახდენს.

პროპოლისის შეიცავს დიდი რაოდენობით ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებსაც იმუნომოდულაციური თვისებები გააჩნიათ (ბიოფლავონოიდები, თუთია, პოლისაქარიდები) და ზრდიან იმუნური უჯრედების ფაგოციტურ აქტივობას. სუპოზიტორების ზემოქმედებით ხდება ანტისხეულების სინთეზის სტიმულირება, იზრდება სისხლის კომპლემენტარული აქტივობა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება განმეორებითი ინფიცირების რისკი.

ძირტკბილას ფესვის შემადგენლობაში შემავალი გლიცირინის მჟავა ასტიმულირებს თირკმელზედა ჯირკვლების მიერ კორტიზონის (ჰორმონი, რომელიც აფერხებს ანთებ პროცესებს) გამომუშავებას.



ამის წყალობით, მკვეთრად მცირდება გამონადენის რაოდენობა, ხდება ლორწოვანი გარსის დაცვა გაღიზიანებისგან, მიკრობებით ინფიცირებისგან, რომელთა ზრდაც ფერხდება მიკრობული უჯრედის კედლებზე ცილების კოაგულაციის შედეგად.

პროდუქტი გამოიყენება როგორც პროფილაქტიკის მიზნით, ასევე სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა კომპლექსური თერაპიისას.

პრეპარატს გააჩნია ჰიპოალერგენული მოქმედება.

ჩვენებები:

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები:

- ქლამიდიოზი
- ურეაპლაზმოზი
- მიკოპლაზმოზი
- გარდნერელოზი
- ტრიქომონიაზი
- გონორეა
- კანდიდოზი
- პაპილომავირუსული ინფექცია
- სქესობრივი ჰერპესი
- ციტომეგალოვირუსული ინფექცია
- სტრეპტოკოკული ინფექცია
- სტაფილოკოკური ინფექცია

გამოყენების წესი:

გამოიყენება რექტალურად. გამოყენების წინ გაათავისუფლეთ სუბოზიტორი კონტურული შეფუთვისგან. სუფთა ხელებით ფრთხილად შეიყვანეთ სუბოზიტორი უკანა ტანში, გვერდზე მწოლიარე მდგომარეობაში. შეიყვანეთ 1 სუბოზიტორი დღეში 2-ჯერ, 30 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კურსის გახანგრძლივება 90 დღემდე.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები არაა გამოვლენილი.

არ ვითარდება დამოკიდებულება და არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები არაა გამოვლენილი.

შენახვის წესები:

პროდუქტი უნდა ინახებოდეს დაუზიანებელ შეფუთვაში გრილ ადგილზე, +4°C-დან + 15°C-მდე ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა:

ვარგისიანობის ვადა შეადგენს გამოშვების თარიღიდან 24 თვეს.

არაა რეკომენდირებული პროდუქტის გამოყენება შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

SCHALI® Care სერიის კომპლექსური საშუალებები იწარმოება ლიცენზია № 286-S საფუძველზე.